

ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცხადებელი კონკურსის პირობები	
თანამდებობის /პოზიციის დასახელება	მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი მონაცემთა ბაზებისა და პლატფორმის მიმართულებით (შტატგარეშე)
კატეგორია	☒ შტატგარეშე ☐ (შტატგარეშე/მომსახურების ხელშეკრულება-ტრენერებისთვის)
შრომის ანაზღაურების ოდენობა (შრომის ანაზღაურების წესის გათვალისწინებით)	1400 აშშ დოლარი
ხელშეკრულების ხანგრძლივობა (გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა საჭიროების შესაბამისად)	3 თვის გამოსაცდელი ვადით.
სამუშაოს აღწერა (ფუნქცია - მოვალეობები)	სამუშაოს აღწერა:

- თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროექტის მენეჯმენტის ჯგუფთან, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტსა და განათლების სფეროს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპერტთან ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის პორტალთან მასწავლებელთა პორტალის ჩაშენებასა და დაკავშირების მიმართულებით; ამ მიზნით კონცეპტუალური ნაწილის განსაზღვრა, ტექნიკური სპეციფიკაციების შედგენა, პროგრამის დაწერაში მონაწილეობის მიღება;
- თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროექტის მენეჯმენტის ჯგუფსა და ყველა შესაბამის საგნობრივ ექსპერტთან მოსწავლეებზე ორიენტირებული ინფორმაციულ-კომპიუტერული პროგრამის შექმნასა და/ან მოდიფიცირებაზე;
- თანამშრომლობა ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სპეციალისტებთან ცოდნისა და უნარების გასაზიარებლად და მხარდასაჭერად;
- თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შესაბამის სამსახურებთან, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ექსპერტებთან, განთლების მართვის საინფორმაციო სისტემების საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, პროფესიული განვითარების პორტალის საუკეთესო/რელევანტური სისტემის მოძიებაზე, მოდიფიცირებაზე და/ან შექმნაზე
- მასწავლებელთა, დირექტორთა და ტრენერთა პროფესიული განვითარების საინფორმაციო სისტემის დანერგვაში მონაწილეობა, ამ მიზნით თანამშრომლობა შესაბამის ექსპერტებთან და სამსახურებთან; სისტემის სპეციფიკაციების განსაზღვრა, სისტემის აწყობა;
- თანამშრომლობა ონლაინ რესურსების, ვიდეომასალის, კომპიუტერული პროგრამის უზრუნველყოფ ნებისმიერ მომწოდებელთან, მასალის ასახვა პროფესიული განვითარების სისტემაში;
- მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და მონიტორინგის პროცესში მონაწილეობის მიღება, შესაბამისი მონაცემების ასახვის უზრუნველყოფა ერთიან ბაზაში;
- პროექტის მენეჯმენტის ჯგუფის პროექტის მენეჯერის მიერ მითითებული სხვა ამოცანების შესრულება.

საკვალიფიკაციო
მოთხოვნები

განათლება:

აუცილებელი:

- აკადემიური ხარისხი საინფორმაციო ტექნოლოგიებში, საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში ან შესაბამის დისციპლინებში;

სამუშაო გამოცდილება:

აუცილებელი:

- კომპიუტერული პროგრამების შექმნის და მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;
- საგანმანათლებლო მიზნებისთვის კომპიუტერული პროგრამების შექმნისა და/ან მოდიფიცირების გამოცდილება;
- ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე რამდენიმე უწყებას/დაინტერესებულ მხარეს შორის დროული და ეფექტიანი თანამშრომლობის უნარი;
- მონაცემთა ბაზების შედგენისა და მონაცემთა დამუშავების გამოცდილება;

სასურველი:

- მაღალი პრიორიტეტულობის პროგრამებზე მუშაობის და ამ მიზნით საჯარო დაწესებულებებთან მუშაობის გამოცდილება;
- კოლეგებთან თანამშრომლობის გამოცდილება შესაძლებლობების გაზრდისკენ და ცოდნის გაზიარებისკენ მიმართულ აქტივობებში;

პიროვნული თვისებები:

- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- დეტალებზე ორიენტირებულობა

ენების ცოდნა:

ქართული - ძალიან კარგი (3-ვე კომპონენტი)

ინგლისური-ძალიან კარგი (3-ვე კომპონენტი)

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები	პროგრამის დასახელება ცოდნის დონე Microsoft Office Word ძალიან კარგი MS Outlook ძალიან კარგი Microsoft Office Excel ძალიან კარგი Power Point ძალიან კარგი
სამუშაოზე გამოცხადების გრაფიკი: (შინაგანაწესით გათვალისწინებული, თავისუფალი, კონკრეტული დღეები/საათები)	სრული განაკვეთი
სამართლებრივი აქტების ცოდნა	არ არის სავალდებულო
დამატებითი ინფორმაცია	კანდიდატმა შესაბამის გრაფაში სავალდებულოდ უნდა მიუთითოს: ✓ ორი რეკომენდატორის სახელი და გვარი, სამუშაო ადგილისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით; ✓ აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობისთვის სასურველი ხელფასი კანდიდატმა შესაბამის გრაფაში სავალდებულოდ უნდა ატვირთოს:

- ✓ სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე (არაუმეტეს 200 სიტყვისა), წარმოდგენილ ვაკანსიაზე დაინტერესების მოტივაციის და კანდიდატის ძლიერი მხარეების შესახებ, რაც განაპირობებს პროექტის დანერგვის წარმატებულობას;
- ✓ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დასკანერებული ასლი.

კონკურსის ეტაპები:

1. განაცხადების გადარჩევა
2. გასაუბრება

გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

პროექტის აღწერა:

პროექტი "მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი" წარმოადგენს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ საქართველოს განათლების სისტემის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილი გრანტის ფარგლებში წარმოქმნილ ინიციატივას, რომელიც გულისხმობს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიულ განვითარებას, პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსების შექმნას და დანერგვას. აღნიშნული პროექტის პროფესიული განვითარების მიმართულებებში პრიორიტეტულია ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

	გამოყენებისა და დანერგვის უნარების გაძლიერება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა პროფესიული განვითარების მიზნებისათვის. პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი. პროექტის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა მისი მდგრადობა და შესაბამისობა განათლების სისტემის სტრატეგიასთან.
--	---